

## საკუთრების უფლების არსი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად

ქვეყანაში მიმდინარე პროცესები რაგასაკვირია, რომ არცერთ საქართველოს მოქალაქეს გულგრილს არ ტოვებდეს, მაგრამ ამავე დროს სასურველია ყველამ მისი შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს მათში იმისდა მიუხედავად ესება თუ არა ეს კონკრეტული შემთხვევა მას უშუალოდ. ამ ბოლო ხანებში გახშირებულმა, საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტებმა კი განაპირობა საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი ხსენებულ საკითხზე.

საქართველოს მოქალაქეთა საკუთრების უფლება რასაკვირველია დაცულია კონსტიტუციით და სხვა ადგილობრივი კანონმდებლობით, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს რომ არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, რომლებიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ და სავალდებულოა შესასრულებლად, როგორც საქართველოს მოქალაქეების ასევე სახელმწიფო ორგანოების მიერ.

კონკრეტულ შემთხვევაში საუბარი გვექნება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, სადაც სანიმუშოდ არის განმარტებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მნიშვნელობა და მოქმედების არეალი. პირველი დამატებითი ოქმი საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2002 წლის 7 ივნისს და მისი პირველი მუხლის სრული ტექსტი ასეთია:

**„ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.**

ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლის ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.“

ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი სამი სხვადასხვა წესისაგან შედგება. პირველი გამონათქვამია პირველი აბზაცის პირველ წინადადებაში და ატარებს ზოგად ხასიათს, აწესებს საკუთრებით დაუბრკოლებლად სარგებლობის პრინციპს და მოიცავს ყველაფერს, ანუ ვრცელდება იქ, სადაც დანარჩენი ორი წესი ვერ ვრღვება. მეორე წესი, იმავე აბზაცის მეორე წინადადებაში ეხება საკუთრების ჩამორთმევის საკითხს. იმისათვის რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა საკუთრების უფლების ჩამორთმევის ალბილი, ამისათვის აუცილებელია შემოწმდეს არა მარტო ფორმალური ექსპროპრიაციის ან საკუთრების გადაცემის მომენტი, არამედ ამასთანავე მოხდეს რეალური სიტუაციის გამოკვლევა იმისათვის, რომ გამოჩნდეს, ჰქონდა თუ არა ფაქტობრივად ალბილი საკუთრების ჩამორთმევის. მესამე წესი, რომელიც ჩამოყალიბებულია მეორე აბზაცში, აღიარებს ხელშემაკრებელი სახელმწიფოების უფლებამოსილებას, საკუთრებით სარგებლობა მართონ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.

ეს წესები უნდა განვიხილოთ ერთმანეთთან ურთიერთკავშირში. მეორე და მესამე წესი, რომლებიც ეხება საკუთრებით დაუბრკოლებლად სარბეზლობის უფლებაში ჩარევის კონკრეტულ შემთხვევებს, უნდა გავიაზროთ პირველ წესში ჩამოყალიბებული პრინციპის გათვალისწინებით.

საქმეში „პინკოვა და პინკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“ (განაცხადი №36548/97 “CASE OF PINCOVÁ AND PINC v. THE CZECH REPUBLIC” 2002 წლის 5 ნოემბერის გადაწყვეტილება) განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათ ჩამოერთვათ კეთილსინდისიერად და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად მოკრძედილი ქონება და აცხადებდნენ, რომ არ მიუღიად აღეკვამთური კომპენსაცია. ისინი აკელირებდნენ პირველი ოქმის პირველ მუხლის დარღვევას.

ამ საქმეზე მსჯელობისას ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ: „პირველი ოქმის 1-ლი მუხლის პირველი და უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა ის არის, რომ ნებისმიერი ჩარევა საჯარო ხელისუფლების მხრიდან საკუთრებით დაუბრკოლებლად სარბეზლობაში უნდა იყოს კანონიერი, ანუ კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. პირველი აბზაცის მეორე წინადადება იძლევა საკუთრების ჩამორთმევის ნებართვას მხოლოდ „კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით“. სასამართლოს კონკრეტულ საქმეზე მსჯელობისას სწორედ ეს უნდა დაეგონა, კერძოდ: „არსებობდა თუ არა „სახოგადოებრივი საჭიროება“ პირველი ოქმის პირველ მუხლში დადგენილი მეორე წესის მნიშვნელობით. საკითხზე მსჯელობისას კი სასამართლო აღნიშნავს, რომ: „სახოგადოებრივი საჭიროება“ თავის მხრივ ზოგადი ცნებაა და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, რომ დაინერგოს საკუთრების ჩამორთმევისთან დაკავშირებული კანონები, ჩვეულებრივ, მოიცავს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საკითხების ანალიზს.“

უნდა აღინიშნოს, რომ ევროსასამართლოს უკვე არსებული გადაწყვეტილებებში არ არის საქართველოში არსებულ იდენტურ რეალობასთან პირდაპირ კავშირში მყოფ საკითხებზე მსჯელობა, მაგრამ ის ძირითადი პრინციპებსა და სტანდარტებში რაც გამოიყენება თითოეულ გადაწყვეტილებაზე მსჯელობისას, კალიან მართივად შეიძლება აღვიჭვად და დავინახოთ ევროსასამართლოს ხედვა, მისი შეხედულება ამათუიმ საკითხზე და მისი სავარაუდო შეფასება კონკრეტულ ფაქტთან მომართებაში.

წინამდებარე საქმეში მთავრობა ამტკიცებდა, რომ მიწის შესახებ კანონის მიზანი იყო „1948-1989 წლებში სოფლის და სატყეო მეურნეობაში გამოყენებული უძრავი ქონების მისაკუთრებითა საკუთრების უფლებების კონკრეტულ დარღვევათა შედეგების აღმოფხვრა“. ამ მიზნის მისაღწევად შერჩეული სამართლებრივი ინსტრუმენტი იყო „რესტიტუცია“; სისტემა მიზნად ისახავდა საკუთრების ჩამორთმევის დროს ჩადენილი უკანონო ქმედებისათვის რეპარაციის უზრუნველყოფას და უპირატესობას ანიჭებდა საკუთრების რესტიტუციას მისი თავდაპირველი ფორმით.

მიზანი, რომელსაც მიწის შესახებ კანონი ემსახურებოდა, იყო საკუთრების უფლების იმ დარღვევათა შედეგების აღმოფხვრა, რომელთაც ადგილი ჰქონდა კომუნისტური რეჟიმის დროს მაგრამ საკითხზე მსჯელობისას სასამართლომ დაადგინა, რომ: „ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ერევა საკუთრებით დაუბრკოლებლად სარბეზლობის უფლების გამოყენებაში, სამართლიან წონასწორობას უნდა ამყარებდეს სახოგადოების ზოგადი ინტერესის მოთხოვნებებსა და ინდივიდის ძირითადი უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის (*Sporrong and Lönnroth v. Sweden*, 1982 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერია A № 52, გვ. 26, პუნქტი 69). სახელდობრ, უნდა დამყარდეს პროპორციულობის გონივრული

შრტიერთდამოკიდებულება გამოყენებულ საშუალებასა და დასახულ მიზანს შორის, რომელიც მიიღწევა ნებისმიერი საშუალებით პირისათვის საკუთრების ჩამორთმევის გზით (*Pressos Compania Naviera S.A. and Others v. Belgium*, 1995 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A № 332, გვ. 23, პუნქტი 38, და *The former King of Greece and Others*, იხ. ზემოთ, პუნქტი 89). ამგვარად, წონასწორობა, რომელიც უნდა დამყარდეს საზოგადოების ზოგადი ინტერესის მოთხოვნებებსა და ძირითადი უფლებების მოთხოვნებს შორის, ირღვევა, თუ შესაბამის პირს მოუწია ეტვირთა „არაპროპორციული ტვირთი“ (*The Holy Monasteries v. Greece*, 1994 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A № 301-A, გვ. 34-35, პუნქტები 70-71).”

სასამართლომ ამასთანავე იმსჯელა კომპენსაციის ოდენობის საკითხზე და დააღბინა, რომ: „პირს, რომელსაც ჩამორთვა საკუთრება, უნდა მიეცეს „მის ღირებულებასთან ბონივრულად დაკავშირებული“ კომპენსაცია, მიუხედავად იმისა, რომ „საზოგადოებრივი საჭიროების“ კანონიერი მიზანი შეიძლება სრულ საბაზრო ღირებულებაზე ნაკლების ანაზღაურებას ითხოვდეს“.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ 1967 წელს გადახდილი შესახიდი ფასი, რომელიც დაუბრუნდა განმცხადებლებს, შეუძლებელია ბონივრულ კავშირში იყოს 30 წლის შემდგომ ღირებულებასთან.

ამგვარად, სასამართლომ დააღბინა, რომ: „განმცხადებლებს დაეკისრათ ინდივიდუალური და გადაჭარბებული ტვირთი, რომელმაც დაარღვია ის სამართლიანი წონასწორობა, რაც უნდა დამყარებულიყო, ერთის მხრივ, ზოგადი ინტერესის მოთხოვნებებსა და, მეორეს მხრივ, საკუთრებით დაუბრკოლებელად სარგებლობის უფლებას შორის. შესაბამისად, აღბილი ჰქონდა პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას.“

ევროკონვენციით აღიარებული საკუთრების უფლება მოიცავს ყველა იმ სიკეთეს რაც იბულისხმება საკუთრებაში მისი მრავალფეროვანი ბუნებიდან გამომდინარე. ამჟამად საქართველოს წინააღმდეგ უკვე არსებული გადაწყვეტილებებიდან პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა ევროსასამართლომ დააღბინა საქმეში: „შ.პ.ს. ამატ-ჯი და ნებალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (**CASE OF AMAT-G LTD AND MEBAGHISHVILI v. GEORGIA** (Application no. 2507/03)) 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება და შ.პ.ს. „იზა“ და მახრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (**CASE OF “IZA” LTD AND MAKRAKHIDZE v. GEORGIA** (Application no. 28537/02)) 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება.

ზემოხსენებული ერთი საქმის ანალიზიც კი ვფიქრობ ნათლად მეტყველებს რაოდენ დიდია განსხვავება შეხედულებისა საკუთრების შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოსა და აღბილობრივი ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენლებს შორის. არსებული მდგომარეობაში საჭიროა საზოგადოების აქტიური პროზიცია იღავონ დარღვეული უფლებების დასაცავად და ამასთანავე აღვოკატების ხანგრძლივი ძალისხმევა გამოიყენონ ის კონკრეტული სამართლებრივი პროცედურები, რაც არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების სახით.

ნიკოლოზ ლევაშვილი  
ადვოკატი  
„კონსტიტუციის 42-ე მუხლი“